



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
ერთობლივი ბრძანება № 05-04-11/381

26 მარტი 2020

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით
განსახორციელებელი დამატებითი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან
დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს პრეზიდენტის
2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის, საქართველოს ორგანული კანონის
საქართველოს შრომისკოდექსის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს
კანონის, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით
გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020
წლის 23 მარტის №181 დადგენილების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 მარტის №01-05-04/65 დადგენილების საფუძველზე
ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეჩერდეს ჩვეულებრივი სასწავლო პროცესი 2020 წლის 21 აპრილამდე. სწავლება განხორციელდეს ელექტრონული კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით.
2. აიკრძალოს ყველა სახის ტრენინგი, კონფერენცია, სემინარი, გარდა დისტანციური ფორმისა.
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, მისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტები, სკოლა), დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტი, ცენტრი) ადმინისტრაციები გადავიდნენ მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე.
4. კრიტიკულად მნიშვნელოვანი აუცილებლობის შემთხვევაში სტუ-ს შესაბამისი თანამშრომლები სამსახურებრივ მუშაობას განახორციელებენ ჩვეულ რეჟიმში-სამსახურში გამოცხადების გზით. ასეთ შემთხვევაში მათ ეცნობებათ სტუ-ს რექტორის უფლებამოსილი პირის (პირების) მეშვეობით.
5. სტუ-ს ყველა თანამშრომელი ვალდებულია ზედმინვევით იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის #1 დეკრეტით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით.
6. იკრძალება ყველა ტიპის კულტურული ღონისძიების ჩატარება, როგორც დახურულ, ისე ღია სივრცეში, მათ შორის, კონცერტები, სპექტაკლები, დროებითი და მუდმივი გამოფენები, რეპეტიციები, გასტროლები, მასტერკლასები, ტრენინგები და კონფერენციები, ასევე ყველა ტიპის მასობრივი სპორტული ღონისძიება, მათ შორის, შეჯიბრი, სასწავლო-საწვრთნელი პროცესი/შეკრება, როგორც დახურულ, ასევე ღია

სივრცეში, სპორტის თემასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ტრენინგი, სემინარი ან/და კონფერენცია, გარდა დისტანციური ფორმისა.

7. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს ბატონ ლევან ტატიშვილს.

8. წინამდებარე ბრძანების თანამშრომლებისათვის გაცნობა დაევალოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს.

9. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილზე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი-ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6) გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი

დავით გურგენიძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ვარლო კოპალიანი